# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

**3 აგვისტოს**, დღის 2 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ მთავრობის ლოჟებში შემოსულ ამხანაგებს: **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. ა. კუნაევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს.**

სესია შეუდგა შემდეგი საკითხის განხილვას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, დეპუტატმა **მ. პ. გიორგაძემ**. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად იღებს კანონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

სესიის დღის წესრიგის შემდეგი საკითხია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს დეპუტატ **ლ. ი. ბრეჟნევს**. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში.

დეპუტატ ლ. ი. ბრეჟნევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით დეპუტატთა განსახილველად შეაქვს წინადადება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ნიკოლოზ ვიქტორის ძე პოდგორნი. ეს წინადადება ორივე პალატამ ერთხმად მიიღო.

მოკლე სიტყვაში დეპუტატმა **ნ. ვ. პოდგორნიმ** დიდი მადლობა გადაიხადა მაღალი ნდობისთვის. მას წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნან **ნ. გ. იგნატოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ვ. ი. კოზლოვი, ი. ს. ნასრიდინოვა, ს. ბ. ნიაზბეკოვი, გ. ს. ძოწენიძე, მ. ა. ისკენდეროვი, კ. ფ. ილიაშენკო, ი. ე. კალნბერზინი, ტ. კულატოვი, მ. ხოლოვი, ნ. ს. არუთინიანი, ა. კლიჩევი, ა. ა. მიურისეპი.** პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ლიტვის სს რესპუბლიკიდან ამ სესიაზე არჩეული არავინ არ იქნება, რადგან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. პალეცკისი არჩეულია ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ.

დეპუტატ ნ. ვ. პოდგორნის წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნან დეპუტატები **ვ. ი. ბოლშუხინი, ლ. ი. ბრეჟნევი, ს. მ. ბუდიონი, ა. დ. დანიალოვი, ნ. გ. ეგორიჩევი, კ. ე. ვოროშილოვი, ვ. მ. კავუნი, ა. ი. კასატკინა, ვ. ი. კონოტოპი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ა. ი. მიქოიანი, ზ. ნ. ნურიევი, ა. დ. ნუტეტეგრინე, ი. გ. პეტროვსკი, ზ. პ. პუხოვა, ფ. ა. ტაბეევი, ვ. ს. ტოლსტიკოვი, პ. ე. შელესტი, მ. ჯალალოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად — დეპუტატი **მ. პ. გიორგაძე**.

დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ნ. ვ. პოდგორნის წინადადება.

სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ნ. კოსიგინი**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან მადლობა გადაიხადა დიდი ნდობისთვის.

დეპუტატ ა. ნ. კოსიგინს სესიის განსახილველად შეაქვს მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა, წინადადება ერთსულოვნად იქნა მიღებული.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებად არჩეული არიან **კ. ტ. მაზუროვი** და **დ. ს. პოლიანსკი**. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად — **ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დიმშიცი, მ. ტ. ეფრემოვი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი.**

ამით კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა დაიხურა (საქდესი).

**მოსკოვი**, 3 აგვისტო (საქდესი). საღამოს ხუთ საათზე კრემლის დიდ სასახლეში განახლდა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადება საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ნ. კოსიგინმა**.

დეპუტატ **ვ. ს. ტოლსტიკოვის** (ქ. ლენინგრადი) წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც მოწონებულია საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში სსრ კავშირის მთავრობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც მთავრობის განცხადებაშია დასახული.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრს, დეპუტატ **ა. ნ. ტუპოლევს**. მან წაიკითხა პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადებისა ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის გაძლიერების გამო, რომელიც 3 აგვისტოს მიიღო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ.

სესიამ ერთხმად მიიღო ეს განცხადება.

ამით სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა დაამთავრა (საქდესი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 151 (3128)

6 1966 წ. აგვისტო, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი




4 წელიწადს ითვლებოდა მსოფლიო რეკორდად შესანიშნავი ავსტრალიელი მოცურავის — მ. როუზის შედეგი 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (8.51,5). და აი, სულ ახლახან, ხარკოვში, მოცურავეთა საკავშირო ასპარეზობისას, რომელიც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე მიმდინარეობს, მოსკოველმა ს. ბელიც-გეიმანმა ამ რეკორდს 4,1 წამი ჩამოაკლო და დისტანცია 8.47,4 წუთში დაფარა, მოსკოველმა სტუდენტმა ამ შედეგით 11,3 წამით გააუმჯობესა მის მიერვე დამყარებული ევროპის რეკორდი.

სურათზე: ს. ბელიც-გეიმანი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

# იაპონელი მთამსვლელები — მყინვარწვერზე

იაპონიისა და საქართველოს მთამსვლელთა მეგობრობას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. ოციოდე თვის წინ იაპონიაში სტუმრად იმყოფებოდა ჩვენი რესპუბლიკის ალპინისტთა ერთი ჯგუფი. ქართველმა და იაპონელმა მთამსვლელებმა ერთად დალაშქრეს ფუძიამას მთა და საფუძველი ჩაუყარეს ორი ქვეყნის სპორტსმენთა მეგობრობას.

ამ რამდენიმე ხნის წინ იაპონელები საქართველოს ეწვივნენ. ქართველი მთამსვლელები გულლიად შეხვდნენ ამომავალი მზის ქვეყნის სტუმრებს, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ხანმოკლე შესვენების შემდეგ კურსი კავკასიონის მთიანეთისკენ აიღეს. იაპონელებს განზრახული ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე—მყინვარწვერზე ასვლა.

და აი, მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სტუმრებმა ქართველ ალპინისტებთან ერთად წარმატებით განახორციელეს ასვლა. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში იაპონელ მთამსვლელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აკიო კოიდემ განაცხადა:

— 10 იაპონელი ალპინისტი ცხრა დღის წინ ეწვია საქართველოს მთამსვლელთა ადგილობრივი ფედერაციის მოწვევით. ლაშქრობა 30 ივლისს დაიწყო, როდესაც ყაზბეგიდან გამოვედით და იმავე დღეს მივაღწიეთ 3600 მეტრ სიმაღლეზე მდებარე მეტეოროლოგიურ სადგურს. აქ გავიარეთ აკლიმატიზაციის პერიოდი.

1 აგვისტოს ღამით მყინვარწვერის შტურმი დავიწყეთ. ქართველ მთამსვლელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ო. ხაზარაძე. ჯგუფის შემადგენლობაში იყო ყაზბეგელი ვახტანგ ქირიკაშვილი, რომელმაც კავკასიონის უმაღლეს მწვერვალს მეოთხმოცედ დაადგა ფეხი.

ჩვენი ჯგუფიდან სანუკვარ მიზანს შვიდმა კაცმა მიაღწია. როცა ავედით მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალზე, ჩვენს თვალწინ მომაჯადოებელი სურათი გადაიშალა. ეს დაუვიწყარი იყო. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მყინვარწვერის დამპყრობი პირველი იაპონელი მთამსვლელები ვიყავით. უსაზღვრო მადლობას ვუხდით ქართველ სპორტსმენებს, რომლებმაც ეს უდიდესი სიამოვნება განგვაცდევინეს.

როცა ქართველ მთამსვლელებთან ერთად მივაღწიეთ მწვერვალს, ერთხმად დავძახეთ „ვაშა" და აღვმართეთ იაპონიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ალმები.

იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა ასვლა მყინვარწვერზე გადაიღო თბილისის მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორმა, მთამსვლელმა ბორის კრეპსმა. იგი ამზადებს ფილმს ქართველ მეგობრებთან იაპონელი მთამსვლელების სტუმრობის შესახებ. იაპონელი სპორტსმენები გაეშურებიან მთამსვლელთა ბანაკ „აილამაში", საიდანაც წავლენ ცენტრალური კავკასიონის რამდენიმე მწვერვალის დასაპყრობად.

## ნუთანიშნე საათი...

◆ **ჰამბურგი**, 5 აგვისტო. გფრ-ის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის III ტურში ა. მეტრეველმა წააგო უნგრელ გუიაშთან (2:6, 1:6 4:6). მეტრეველ — ლიხაჩოვის წყვილმა დაამარცხა მასპინძელთა „დუეტი" კუბე—პავლიკი (6:3, 8:6, 6:3). საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა სიმხონმა და კულმა მოუგეს გფრ-ის წარმომადგენლებს ხარტერსა და შტურმს (3:6, 6:4, 6:0).

◆ **ერებრუ**, 5 აგვისტო. სსრ კავშირის სტუდენტი მოჭადრაკეები ლიდერობენ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც შვეციის ამ პატარა ქალაქში ტარდება. I ტურში გდრ-სთან გამარჯვების შემდეგ (3:1) ჩვენი მოჭადრაკეები შეხვდნენ ფინეთის ნაკრებს. ჯერჯერობით ანგარიშია 3:0 სსრ კავშირის სტუდენტთა სასარგებლოდ. წარმატებას მიაღწიეს: კუზმინმა, კაპენგუტმა და გულკომ. ვესტერინენ (ფინეთი) — სავონის პარტია გადაიდო. 2 ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს 6 ქულა აქვს და ერთი გადადებული პარტია. ლიდერს 4-4 ქულით მიჰყვებიან ინგლისისა და დანიის გუნდები. 3,5-3,5 ქულა აქვთ ბულგარეთისა და რუმინეთის მოჭადრაკეებს.

◆ **ვიში**, 5 აგვისტო. საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქის კორტებზე დაიწყო გალეას თასის ნახევარფინალური მატჩები. დიდი ბრიტანეთ — ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირ — საფრანგეთის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის ანგარიში ჯერჯერობით 1:1. მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა დაამარცხა ჟ. შანფრო — 6:1, 8:6, თბილისელმა კაკულიამ კი წააგო ჟ. გოვენთან — 6:1, 1:6, 2:6.

◆ **ბონი**, 5 აგვისტო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად იმყოფებოდნენ მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები, რომლებმაც აქ ითამაშეს 31 ივლისსა და 3 აგვისტოს. მოსკოველებმა ჯერ მოუგეს ქვემო საქსონიის ნაკრებს — 2:0, ხოლო შემდეგ ქ. პადერბორნის ნაკრებს — 7:0.

## ჩვენი „დუეტი" იმარჯვებს

## სსრ კავშირის გუნდი ლიდერობს

## საკურორტო ქალაქში 9 „მშრალი" ბურთი



ალმა-ათის სპორტსმენებმა და სპორტის მოყვარულებმა კიდევ ერთი კეთილმოწყობილი ნაგებობა მიიღეს — ცენტრალური სტადიონის მეზობლად დამთავრდა ახალი საცურაო აუზის მშენებლობა, რომლის ფასადსაც თქვენ ხედავთ ამ სურათზე.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

# გადამწყვეტი სტარტების წინ

აგვისტოში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდება მსოფლიო პირველობის გათამაშება სატრეკო ველოსპორტში. ჩემპიონატისთვის გულმოდგინედ ემზადებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ველოსიპედისტები. ამ ორიოდე დღის წინ მოსკოვს ეწვია საფრანგეთის ნაკრები. იგი რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს საბჭოთა ველოსიპედისტებთან, შემდეგ გაემგზავრება სამშობლოში და გფრ-ში წასვლის წინ უკანასკნელ სამზადისს შეუდგება.

საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა პ. ტრანტენმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „საბჭოთა ველოსიპედისტებთან შეხვედრა ჩვენი გუნდისთვის გენერალური რეპეტიციაა. ალბათ, ამ მატჩს ასეთსავე მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კოლეგები. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სპრინტერთა დუელი იქნება. მე ვიცი, რომ რევანშისთვის გულმოდგინედ ემზადება იტალიელი ჯ. ტურინი. ვიცი ისიც, რომ თავის საუკეთესო ფორმაშია „სპრინტის მეფე" ო. ფხაკაძე — მისი ბუმბერაზული ძალა ამ ცოტა ხნის წინ საკუთარ თავზე გამოვცადე. ენერგიულად ემზადებიან ბელგიისა და დანიის ველოსიპედისტებიც, ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონატზე, ვფიქრობ, არ იქნება მოუმზადებელი სპრინტერი.

წინასწარ იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს გფრ-ში, ძნელია. მთავარ ფავორიტად, რა თქმა უნდა, ო. ფხაკაძე რჩება, მაგრამ მსოფლიოში ამჟამად 5-6 ველოსიპედისტი არსებობს, რომელთა შორის თითეულს თამამად შეუძლია გახდეს ჩემპიონი.

საფრანგეთის ველოსიპედისტები ხვალ ტულიდან მოსკოვს გაემგზავრებიან, სადაც 10-11 აგვისტოს კიდევ ერთხელ შეხვდებიან მასპინძლებს.

# ცნობები მინსკიდან

მინსკი, 4 აგვისტო (ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე უნივერსიადაზე დამთავრდა კალათბურთელთა ასპარეზობა. ჩვენმა ქალებმაც და ვაჟებმაც ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. ქალებმა ბოლო ორ მატჩში დაამარცხეს ტარტუს უნივერსიტეტი — 42:38 (17:20) და მოსკოვის ტექნიკური ინსტიტუტი — 57:17 (28:4). 8 მოგება, 1 წაგება — ასეთია ჩვენი ქალების ბალანსი. გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ც. ჯანელიძე, ნ. ჯაფარიძე, ლ. ქველიძე, გ. გრიგორიანი, მ. ხურგულაძე, ა. კოვზირიძე, გ. სანაძე, ნ. ჯამყრელიძე, ნ. დურმიშიძე, ჟ. არუთინოვა, ი. ახრახაძე, ვ. მჭედლიძე (მწვრთნელი ლ. ძეკონსკი). პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელების წარმატება მით უფრო ფასეულია, რომ აქ გამოდიოდნენ „ა" კლასის ისეთი გუნდები, როგორიცაა რიგის ტტტ, კაუნასის „პოლიტექნიკა", ლენინგრადის „ბურევესტნიკი", მოსკოვის ოლქის „სპარტაკი", როსტოვის „ბურევესტნიკი" და სხვები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელმა ვაჟებმა ბოლო მატჩი მოუგეს ლენინგრადის საავიაციო მოწყობილობათა მშენებლობის ინსტიტუტს — 51:33. მათ აქტივშია 6 მოგება და 1 წაგება. გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ვ. ლომაძე, ა. საკანდელიძე, თ. კაკაურიძე, გ. მინაშვილი, ა. ლეჟავა, ს. კოვალენკო, ი. ლეჟავა, რ. მანაგაძე, გ. ჯუღელი, ლ. ჩაიკვაძე, ს. გუბა, ე. მაისურაძე (მწვრთნელი მ. კეკელიძე).

ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში ბოლო მატჩი პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოუგეს მოსკოვის საოლქო პედინსტიტუტის სპორტსმენებს — 3:1 და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ც. აბუაშვილი, ი. ბუდეშსკაია, ვ. პერეკრესტოვა, ბ. ზურაბიშვილი, ლ. რემიზოვა, ვ. ხამურატიდი, ნ. რუხაძე, ლ. ვარდიშვილი, ლ. შევცოვა, გ. გოვოროვა (მწვრთნელი ა. თევოსიანი). ტრადიციულად დამარცხდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელი ვაჟები. ჯერ მათ წააგეს ბელორუსიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან — 2:3, შემდეგ დნეპროპეტროვსკის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან — 1:3 და ბოლო მატჩი ყაზახეთის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან — 0:3. 8 თამაში და ამდენივე დამარცხება. 0 ქულა. ჭეშმარიტად სავალალო დასასრულია.

ხელბურთელთა ასპარეზობაში კვლავ ულიდერებოდ თამაშობდნენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელბურთელები და დამარცხდნენ 12:23 (4:12). მაგრამ ბოლოსწინა მატჩში აზერბაიჯანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გუნდმა მიიღო შევსება ცერცვაძისა და ექსეულიძის სახით, რამაც არ დააყოვნა დადებითი შედეგის მოცემაც. გავიმარჯვეთ — 31:21 (14:10).

მოცურავე ვაჟთა ასპარეზობაში ჩასათვლელი ქულები მისცა საქართველოს სპორტულ დელეგაციას ვ. ჩოლარიამ, რომელმაც IV ადგილი დაიკავა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, ხოლო იმავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში III საპრიზო ადგილზე გავიდა. ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი კ. ანისიმოვი VI იყო, 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში კი ფ. დოლინსკიმ V ადგილი დაიკავა.

სპორტულ ტანვარჯიშში ნ. მაკალათიამ საბოლოოდ V ადგილის დაკავება შეძლო. მრავალჭიდში მან 109,05 ქულა დააგროვა.

საგზატკეცილო ველორბოლაში დაყოფილი სტარტით 15 კილომეტრზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიდან საუკეთესო, ლ. ჩუგუნოვა, მე-12 ადგილზე გავიდა, ხოლო 25 კილომეტრზე [illegible] 25-ე იყო. ჯგუფურ [illegible] 100 კილომეტრზე [illegible] ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. ჩერნოუსოკი, რომელმაც III საპრიზო ადგილი დაიკავა და პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა. მისი დრო 2 საათი და 18 წუთი. 25 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ლ. ჩუგუნოვა VII ადგილით დაკმაყოფილდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დღეისათვის მდგომარეობა ასეთია: I — მოსკოვი, 515 ქულა, II — რსფსრ, 439, III — უკრაინა, 348, IV — საქართველო, 329,5, V — ბელორუსია, 291,5, VI — ლენინგრადი, 239.

ჯ. ენუქიძე.

# შემთხვევითობას ადგილი აღარ ექნება

რამდენჯერ ვყოფილვართ ასეთი სურათის მოწმე: ტანმოვარჯიშემ შეასრულა ხტომა, მაგრამ მსაჯთა შეფასებაში დიდი შეუსაბამობაა. ბოლოს ირკვევა, რომ მსაჯები ხელებით არეკნის ადგილის დადგენაში ვერ შეთანხმდნენ.

საქმე ის არის, რომ ბჯენითი ხტომების შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც ხტომის შესრულების ტექნიკა და დაშვებული შეცდომები, აგრეთვე ხელებით არეკნის ადგილი.

ტაიჭის ზედაპირი ზონებად არის დაყოფილი, რომლებიც შეფასებულია 10,9,8 ქულით. შეფასებაც შესაბამისად იმ ქულიდან ხდება, რომელ ზონაშიც შესრულდა არეკნი.

ზონები ერთმანეთისაგან ცარცით გავლებული ხაზებითაა გამოყოფილი. დავასა და გაუგებრობას სწორედ ეს ხაზები იწვევს. ერთ მსაჯს ეჩვენება, რომ ტანმოვარჯიშე ხელებით შეეხო ხაზს (ამას შეფასების ერთი ქულით დაკლება მოჰყვება), მეორეს კი — პირიქით. დიდი მასშტაბის შეჯიბრებებზე დამატებით 2 მსაჯსაც კი გამოყოფენ, რომლებიც მხოლოდ ზონის დარღვევას აფასებენ. აქაც ძირითადად ყველაფერი სუბიექტურ შეგრძნებაზეა დამოკიდებული.

ჩვენს მიერ დამზადებული აპარატი აბსოლუტური სიზუსტით აღრიცხავს ზონის უმრავლო დარღვევებსაც კი, ისე რომ, შემთხვევითობას ადგილი აღარ ექნება. ზონების გამყოფი ხაზი, რომელსაც ლითონის ძალზე თხელი ფირფიტა გადაეკვრება, ხელებით თუნდაც ოდნავი შეხებისას (იხ. სურ.) ინთება ის ციფრი, რომლიდანაც უნდა შეფასდეს ხტომი ამა თუ იმ ზონის დარღვევისას.

ციფრებიანი ტაბულა ღილაკზე თითის დაჭერით გამოითიშება უფროსი მსაჯის მიერ.

ჩვენს მიერ რეკომენდებულ აპარატში ციფრებიანი ტაბულა შიგვეა დამონტაჟებული. სურვილისამებრ მისი დამზადება შეიძლება გადასატანი ფეხით ან ჩამოსაკიდი ციფრებით.

აპარატის მუშაობის პრინციპული სქემა მარტივია, საჭირო დეტალების ფასი კი უმნიშვნელო.

ხაზზე ხელის შეხებისას სპეციალური გამაძლიერებლები (ორმაგი ტრიალი) რთავენ ელექტრორელეს, ეს უკანასკნელი კი, შესაბამის ციფრს. შეიძლება დამზადდეს აპარატის სხვა, გაცილებით სრულყოფილი მოდელი.

აპარატის გამოყენება შეიძლება წვრთნის პროცესშიც, რისთვისაც მასზე დამატებით დამონტაჟებულია სხვადასხვა სიგნალი (ზარი, ნათურები), რომლებიც ხტომის შესრულებისას იძლევიან სწრაფ, ობიექტურ ინფორმაციას.

ტაიჭზე გადაკრული ფირფიტები შეერთებულია აპარატთან, რომელიც მსაჯის მაგიდაზე იდგმება, ეს უკანასკნელი კი ჩართულია ელექტროქსელში.

ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული აპარატი წარმატებით გადაჭრის იმ ხშირ დავას, რომელსაც ბჯენითი ხტომების მსაჯობა იწვევს.

გ. ყირმელაშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის მასობრივ სახეობათა ფაკულტეტის დეკანი, სპორტის ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



# „ფეიქრის" დიდი გამარჯვება

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური სპარტაკიადა ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. „ლოკომოტივის" სტადიონზე შეკრებილნი ფეიქარ-ფიზკულტურელთა 18-ათასიანი არმიის სახელით, მხურვალედ მიესალმნენ ფინალური შეჯიბრების მონაწილეებს. სპორტულ მოედნებზე, სტადიონებზე, საწყლოსნო ბილიკებზე დაძაბული და ამაღელვებელი ბრძოლები გაჩაღდა.

## თანამოგვარეთა დუელი

თავდაპირველად საანკეტო მონაცემები: გვარი — ლობჟანიძე, ორივე თბილისში ცხოვრობს და ორივემ სპორტულ სპეციალობად მძლეოსნობა აირჩია. ჯემალი ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში მუშაობს, ალექსანდრე კი — აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ისინი მძლეოსნობის სხვადასხვა დისციპლინას ემსახურებიან: ჯემალი სპრინტერია, ალექსანდრე კი — სიგრძეზე მხტომელი, მაგრამ ორივეს მთავარი იარაღია სისწრაფე.

ჯემალმა ალექსანდრე 100 მეტრზე რბენის დისტანციაზე დაამარცხა (11,3), ხოლო ამ უკანასკნელმა რევანში სიგრძეზე ხტომაში (6 მ 32 სმ) აიღო. თანამოგვარეთა დავა ამით არ დამთავრებულა — ისინი ერთმანეთს კიდევ ერთხელ, 1 წლის შემდეგ შეხვდებიან.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სპორტსმენებმა. ლ. აბზიანიძემ ქალთა სპრინტში 13,1 წამი აჩვენა, მ. ბარამბიამ სიმაღლეზე ხტომაში 145 სანტიმეტრი დაძლია. ამ საწარმოს ქალთა კვარტეტმა 4×100 მ ესტაფეტის დისტანცია 55,0 გაირბინა.

ბევრი საპრიზო ადგილი აქვთ გორის ბამბეულის კომბინატის მძლეოსნებსაც. ასე, მაგალითად, მ. ხითაროვამ 200-მეტრიანი დისტანცია 29,5 წამში დაფარა. თ. სარანამ გაიმარჯვა 400 მეტრზე რბენაში — 1.08,9, ხოლო ვ. შკუაშვილი უძლიერესი აღმოჩნდა 800-მეტრიან დისტანციაზე — 2.11,9. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომა მოიგო ა. დიატლოვმა (170 სმ). ჭაბუკთა სპრინტერულ ესტაფეტაში გაიმარჯვეს გორელმა მძლეოსნებმა — 48,9.

გუნდურ ჩათვლაში I ჯგუფის მძლეოსანთა შორის უძლიერესი ქუთაისელები იყვნენ, II ჯგუფში კი — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენები. სერიოზულ გულისტკივილს იწვევს ერთ დროს მოწინავე „ისნის" გუნდის წარუმატებლობა, ეს მაშინ, როცა ამ გაერთიანებას გააჩნია სტადიონი და მაშასადამე, მძლეოსნობის განვითარების ყველა პირობა. „ისნის" ხელმძღვანელობამ მძლეოსანთა ჩავარდნას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიზიდოს კვალიფიციური მწვრთნელები. მაშინ ივი ნამდვილად დააღწევს თავს სამარცხვინო ბოლო ადგილს.

## ახალგაზრდობის აღმავლობის ნიშნით

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცურვა ნორჩთა სპორტია. ეს ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დაამტკიცა სპორტკლუბ „ფეიქრის" გამოსვლამ. გუნდის წევრთა საშუალო ასაკი 13-14 წელია, ხოლო ნ. გამზენას ასაკი, რომელმაც 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში გაიმარჯვა (1.33,8), ჯერ 11 წელსაც არ აღწევს. ბ. შლეხტმა ყველაზე ადრე გადაკვეთა თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვის ფინიში — 1.07,9. ხოლო ა. ფეოკტისტოვი პირველი იყო ბრასის სტილით 200-მეტრიან დისტანციაზე — 2.50,2. ზედიზედ 2 გამარჯვება მოიპოვა 14 წლის ვ. პარაფილოვმა. თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში მან აჩვენა 5.28,9, ხოლო 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 1.16,1. ს. კობალევამ მოიგო 100 მეტრზე ბრასი — 1.39,9. „ფეიქრის" მოცურავეებს ერთადერთი I ადგილი „წაართვა" თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მოცურავემ ი. ოვსიანიკოვამ. იგი უძლიერესი იყო თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში — 1.25,0.

მოცურავეთა ტურნირის გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა „ფეიქრის" ძლიერმა კოლექტივმა. მეორე ჯგუფში საუკეთესო იყო თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკა.

## მსაჯთა მეორე პროფესია

საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა კალათბურთელ ვაჟთა I ჯგუფის ტურნირში. წინასწარი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ სამ კოლექტივს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვებია. მსაჯებს დიდხანს მოუხდათ საბუღალტრო ოპერაციების წარმოება, რათა გამოერკვიათ უძლიერესი. გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით I ადგილზე გავიდა ქუთაისის აბრეშუმკომბინატი, რომელმაც მოიპოვა კიდეც ფინალში მონაწილეობის უფლება. ამ ცნობამ ისე გაახარა ქუთაისელი კალათბურთელები, რომ გადამწყვეტ მატჩში გორის ბამბეულის კომბინატის გუნდი მათ ერთი ხელის მოხმით გაანადგურეს — 90:46. გამარჯვებამ ქუთაისელი კალათბურთელები I ჯგუფში I ადგილზე გაიყვანა.

ძნელი გზით მივიდა გამარჯვებამდე „ფეიქრის" სპორტკლუბის ქალთა კოლექტივი, ვინაიდან მას შეხვედრების წრიული სისტემით ჩატარება მოუხდა. მაგრამ ფეიქრელი კალათბურთელები თამაშობდნენ თავგანწირვით, მონდომებულად და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მათ დაამარცხეს გორის ბამბეულის კომბინატის (35:13), ქუთაისის აბრეშუმკომბინატის (59:33), „ისნისა" (45:35) და თბილისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის (47:6) წარმომადგენლები. „ფეიქრის" კალათბურთელებს მიენიჭათ სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება.

ვაჟთა შორის II ჯგუფში გაიმარჯვეს თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა, ხოლო ქალთა შორის — ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის კალათბურთელებმა.

## უამინდობის მიუხედავად

წვიმა 2 დღე არ შეწყვეტილა, მაგრამ მან მაინც ვერ შეუშალა ხელი მსროლელთა ასპარეზობას. გორის ბამბეულის კომბინატის მსროლელთა ხუთეულმა შეჯიბრება სხვა გუნდებზე ადრე დაამთავრა. ისინი მოთმინებით ელოდნენ მეტოქეთა შედეგებს. ბინდი იყო დაწყებული, როდესაც მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები. გამოირკვა, რომ გორელებს 500 შესაძლებლიდან 482 ქულა დაუგროვებიათ. ეს მაჩვენებელი საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ბამბეულის კომბინატის გუნდს პირველი ადგილი დაეკავებინა.

## გამოცდილების წყალობით

ფრენბურთელთა ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარეს სპორტკლუბ „ფეიქრის" გუნდებმა. ამაში მათ სხვადასხვა პასუხსაგები ამხანაგური შეხვედრების გამოცდილება დაეხმარა. სპორტკლუბის ვაჟთა და ქალთა კოლექტივებმა ენერგიულად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და უმაღლეს ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

II ჯგუფში უძლიერესი გამოდგნენ ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის ვაჟთა და თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის ქალთა კოლექტივები.

## უღიმღამო ტურნირი

ფეხბურთელთა ასპარეზობაში სასჯელი სასჯელს ცვლიდა. თ. გოშაძე (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა) მსაჯმა მოედნიდან გააძევა უცენზურო სიტყვებისათვის. ბ. ცნობილაძემ (ქუთაისის აბრეშუმკომბინატი) შეურაცხყო თავისივე გუნდის მოთამაშე, შეხვედრის დამთავრების შემდეგ კი მსაჯიც გალანძღა, სასჯელი მანაც სამართლიანი მიიღო, მაგრამ მთავარი მაინც ეს არ იყო.

... თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის გუნდი მეთოდურად ზრდიდა ანგარიშს. მან გორის ბამბეულის კომბინატის ფეხბურთელთა კარში ჯერ ერთი ბურთი გაიტანა, შემდეგ მეორე, მესამე და როდესაც მატჩის ბედი თითქოს გარკვეული იყო, გორელებმა თამაშის ჩაშლა სცადეს. მაგრამ საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. ყრუაშვილი გორელებს განზრახვას მიუხვდა. მაშინ ერთ-ერთმა მოთამაშემ იგი უცენზურო სიტყვებით გალანძღა, რასაც უმალ მსაჯის გადაწყვეტილება მოჰყვა — დამნაშავემ დატოვა მოედანი. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

* * *

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი I ჯგუფში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გუნდმა მოიგო. II ჯგუფში კი პირველ ადგილზე საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის სპორტსმენები გამოვიდნენ. მოჭადრაკეთა შორის I ადგილი წილად ხვდა ქუთაისის აბრეშუმკომბინატის გუნდს. II ჯგუფში თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივი უძლიერესი იყო.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის სპორტკლუბ „ფეიქრის" წარმომადგენლებმა. მათ გადაეცათ საპატიო თასი. II ჯგუფში უძლიერესი გამოდგა თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. აღსანიშნავია, რომ სპარტაკიადა ორგანიზებულად ჩატარდა (პასუხისმგებელი ა. ტაბიძე).

ვ. ბუკია.

# ვიზებით კიევს

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ამიერკავკასიის ზონის „ბ" კლასის წყალბურთელთა პირველობაზე, რომელიც თბილისში, „განთიადის" საცურაო აუზში ჩატარდა, „განთიადმა" მოუგო ბაქოს ასკ-ს — 2:1, „ბურევესტნიკმა" კი „დინამოს" — 11:3. ეს ასპარეზობის დასაწყისი იყო.

დამარცხებულები მეორე დღის შეხვედრებზე ამყარებდნენ უკანასკნელ იმედებს, მაგრამ სასიხარულო შედეგები არც ამ დღეს მოუტანია ბაქოს გუნდებისთვის. ჯერ იყო და „ბურევესტნიკმა" მოუგო ასკ-ს — 6:3, მერე კი „განთიადმა" მშრალი ანგარიშით — 11:0 სძლია „დინამოს". უკვე ორი დღის შედეგებითაც ცხადი გახდა, რომ „განთიადი" და „ბურევესტნიკი" ამ პირველობის უძლიერესი გუნდები იყვნენ. სწორედ ეს კოლექტივები იბრძოლებენ უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის.

ასპარეზობის ბოლო დღესაც ბაქოსა და თბილისის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ცხადია, ამ შეხვედრებს არ ჰქონდათ პრინციპული მნიშვნელობა, მით უმეტეს, ბაქოელებისთვის, რომლებმაც უძლიერესთა შორის მოხვედრის ყოველგვარი შანსები ადრევე დაკარგეს. შეჯიბრება უფერულად წარიმართა და მაყურებელს საწვრთნელ ვარჯიშს უფრო მოაგონებდა, ვინემ საკავშირო ასპარეზობას. გოლები კი მაინც უხვად იყო: არმიელებმა 9 ბურთი გაიტანეს, „დინამომ" — 8.

„განთიადისა" და „ბურევესტნიკის" მწვრთნელებმა — კ. იოგანმა და ზ. ჩაჩავამ მკაცრად გააფრთხილეს გუნდის წევრები, სრული დატვირთვით ითამაშეთო.

ეს ასპარეზობა ხომ ჩვენი წყალბურთელების კიდევ ერთი საგულდაგულო შემოწმება იყო ხარკოვში გამგზავრების წინ. და აი, ბოლო მატჩში, როგორც იქნა ვიხილეთ ნამდვილი, მწვავე, ლამაზი ორთაბრძოლა. თავიდან უპირატესობა „ბურევესტნიკის" მხარეს იყო. ა. საყვარელიძემ, თ. უშანგიშვილმა, ა. ალექსეევმა და კვლავ ა. საყვარელიძემ ოთხჯერ აიღეს მეტოქის კარი. შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს განთიადელებმა და III პერიოდის ბოლომდე 2 ბურთი გაქვითეს. IV პერიოდის დასაწყისში რ. გოგუაძემ კიდევ ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა, დაიწყო სტუდენტთა კარის მძაფრი, მაგრამ თითქმის უშედეგო იერიში. სტუდენტებმა კიდევ 1 ბურთი გაიტანეს, როცა შეხვედრის დამთავრებას რამდენიმე წამიღა უკლდა და დაძაბული პაექრობა მოიგეს (5:3).

ამრიგად, ამიერკავკასიის ზონიდან უძლიერესთა ტურნირზე გამგზავრების უფლება მოიპოვეს თბილისის გუნდებმა „განთიადმა" და „ბურევესტნიკმა". ეს ასპარეზობა 18 აგვისტოს დაიწყება ხარკოვში.

თ. გაჩეჩილაძე.

# VIII მსოფლიო პირველობა

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი

# პროგნოზი, ეს ხომ საპნის ბუშტია!

წინასწარმეტყველება, პროგნოზები! უამისოდ არ ჩატარდება არც ერთი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, მაგრამ როცა საქმე ეხება ფეხბურთში მსოფლიო პირველობას, აქ უკვე ლაპარაკიც ზედმეტია: მისნობა და მკითხაობა ჩემპიონატის განუყრელ ატრიბუტს წარმოადგენს.

პირველი წამომწყებნი ამ საპროგნოზო აჟიოტაჟისა ჟურნალისტები არიან. როგორც კი მოხდა ლონდონის „როიალ გარდენის" სასტუმროს ფოიეში ჟიულ რიმეს თასის VIII გათამაშების კენჭისყრა და 16 ფინალისტი განაწილდა 4 ჯგუფად, ჟურნალ-გაზეთების ფურცლები აჭრელდა ათასგვარი კონკურსებით, შეკითხვებით, პროგნოზებით. თავის აზრს გამოთქვამდა ყველა, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა ან არ ჰქონდა ფეხბურთთან. იყო პროგნოზები კოლექტიური, ინდივიდუალური, მორიდებული, კატეგორიული, ორაზროვანი, ლაკონიური, გაჭიანურებული და ა. შ. ზოგნი ისეთი პრინციპული ტონით ანაწილებდნენ ადგილებს მომავალი დიდი ბატალიების მონაწილეთა შორის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შიონმა, როგორღაც თქვა, რომ, თუ მათ ყველაფერი ასე ზუსტად იციან, რაღას მივდივართ ინგლისშიო?

რა თქმა უნდა, პროგნოზები ძალზე სათუო და მერყევი ამბავია, მაგრამ არც უმისოდ შეიძლება. ღმერთმა არ ქნას, რომ ყველა პროგნოზი გამართლდეს. მაშინ ხომ სპორტი და, კერძოდ, ფეხბურთი დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მიმზიდველ თავისებურებას, მოულოდნელობებსა და სიურპრიზებს, დაკარგავდა განუმეორებლობისა და სიახლის ძვირფას თვისებებს.

საინტერესოა, რა გუნებაზე არიან ხოლმე ის პროგნოზისტები, რომლებსაც განსაკუთრებით არ გაუმართლებთ წინასწარმეტყველებაში? ალბათ, უხერხულ მდგომარეობაში, არა? თუ ეს ასეა, „უხერხულთა" რაოდენობა VIII მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საკმაოდ მოზრდილი ციფრით უნდა გამოიხატოს.

აი, მაგალითად, მოეჭრა თუ არა თავი განთქმულ ბრაზილიელ ასტროლოგს მ. სატურნოს? ადრე ამ ვარსკვლავთმრიცხველმა და ჯადოქარმა თურმე ზუსტად იწინასწარმეტყველა პრეზიდენტ ვარგასის, პრეზიდენტ კენედის სიკვდილი, პრეზიდენტ გულარტის გადადგომა (ასე წერდნენ უცხოეთის გაზეთები), წინასწარ განსაზღვრა ბრაზილიის ნაკრების ორივე გამარჯვება შვეციასა და ჩილიში.

ახლა? ახლა მ. სატურნომ ასე თქვა: „ფინალში შეხვდებიან ბრაზილია — ინგლისი, ან ბრაზილია — იტალია. ბრაზილია გაიმარჯვებს ამარილდოს ერთადერთი გოლის წყალობით". მ. სატურნომ პირველი სირცხვილი მაშინ ჭამა, როცა ამარილდომ ტრავმა მიიღო და საერთოდ არ გამოჩენილა ინგლისში, მეორე კი მაშინ, როცა ბრაზილიელები მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდნენ და ფინალამდე კარგა ხნით ადრე გაემგზავრნენ შინისკენ.

ყოველკვირეულმა გამოშვება „ფუსბალვოხემ" (გდრ) ევროპის 10 სპორტული გაზეთის რედაქციებს მიმართა კითხვით, დაესახელებინათ ფინალური მატჩის 2 მონაწილე. აი, რა პასუხები მიიღო „ფუსბალვოხემ":

„ჰელსინგენ სანომატ ანდ ილტა სანომატ" (ჰელსინკი): იტალია — არგენტინა.

„პშეგლონდ სპორტოვი" (ვარშავა): ინგლისი — ბრაზილია.

„ნაროდენ სპორტი" (სოფია): ინგლისი — უნგრეთი.

„დოიჩეს შპორტეხო" (ბერლინი): ინგლისი — ბრაზილია.

„ლა გაზეტა დელო სპორტ" (მილანი): ინგლისი — სსრ კავშირი.

„შპორტფუნკი" (ვენა): ინგლისი — ბრაზილია.

„სპორტულ პოპულარი" (ბუქარესტი): ინგლისი — ბრაზილია.

„კეპეშ შპორტი" (ბუდაპეშტი): ბრაზილია — ინგლისი.

„ჩესკოსლოვენსკი სპორტი" (პრაღა): ბრაზილია — ინგლისი.

„იდროტსბლადეტი" (სტოკჰოლმი): ინგლისი — ბრაზილია.

კონკურსის მონაწილეებს არ ჩამორჩა თვით „ფუსბალვოხეც", რომელმაც დაასახელა: ბრაზილია — ინგლისი.

არც ერთი ამ გაზეთის საფეხბურთო კომპეტენტურობაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ გამართლდა რომელიმე მათგანის პროგნოზი? ხომ არა?

ისეთმა დიდმა ავტორიტეტმა, როგორიცაა ფრანგული „ეკიპი", უაპელაციოდ დაასახელა ჩემპიონატის პირველი 3 პრიზიორი: ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი. არც ეს პროგნოზი ახდა.

მაგრამ თავი დავანებოთ ჟურნალისტებს. რაც არ უნდა იყოს, ეს შედარებით თავისუფალი ხალხია და პასუხს მაინცდამაინც არ აგებს ასეთ წინასწარმეტყველებაზე, თანაც, ყოველთვის იპოვის საბაბს თავის გასამართლებლად ან სიტყვის გადასათქმელად. გაცილებით უფრო მეტი წონა და პასუხისმგებლობა აქვს პროგნოზს, როცა მისი ავტორია ცნობილი მწვრთნელი ან სპეციალისტი, მცოდნე კაცი, რომელსაც თვითონაც უთამაშია, მოუმზადებია გუნდი მსოფლიო პირველობისთვის. ერთი სიტყვით, ჩახედულია ფეხბურთის „სამზარეულოს" ყველა კუნჭულში.

მაგალითად, ხომ არ იწვევს თქვენში ეჭვს ზ. ჰერბერგერის ავტორიტეტი? ეს ის ზ. ჰერბერგერია, „ბებერ მელად" წოდებული, რომელმაც 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდებამდე მიიყვანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. მისი სიტყვა საერთაშორისო ფეხბურთში კანონია.

და აი, ზ. ჰერბერგერსაც წასცდა სული და ჟურნალისტებთან საუბარში ხელი მოჰკიდა პროგნოზებს, ამ სახლაფორთო და საჩოთირო საქმეს. მართალია, „მელამ" თავი აარიდა კატეგორიულობას, მაგრამ მაინც თქვა, რომ პირველი ჯგუფიდან მეოთხედფინალში გავლენ ინგლისი და ურუგვაი (გამართლდა), მეორედან — არგენტინა და გფრ (გამართლდა ნაწილობრივ), მესამედან — ბრაზილია და პორტუგალია (არ გამართლდა), ხოლო მეოთხედან — სსრ კავშირი და იტალია (არ გამართლდა).

ეს ზ. ჰერბერგერის სიტყვებია. „ბებერ მელაზე" არანაკლებ კომპეტენტურია თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი და მცოდნე, ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უ. უინტერბოტომი. ჟურნალისტებს ისიც აყვა და ვრცელ სამჯავროზე გამოიტანა თავისი შეხედულებანი.

ჯგუფებში გამარჯვებულნი უინტერბოტომმა ასე გაანაწილა: ინგლისი, საფრანგეთი; არგენტინა, გფრ; ბრაზილია, პორტუგალია და სსრ კავშირი, იტალია. შეადარეთ ეს განაწილება მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს ჯგუფებში და პროგნოზსა და სინამდვილეს შორის საერთოს ბევრს ვერ ნახავთ.

ბრიტანელმა მწვრთნელმა, რომელსაც ფეხბურთში იმდენი უნახავს, რამდენიც არავის, იკისრა ნახევარფინალის მონაწილეთა დასახელებაც. ინგლისი, არგენტინა, ბრაზილია, სსრ კავშირი. 4 გუნდიდან მან სწორად გამოიცნო მხოლოდ 2, ე. ი. მართალი გამოდგა სულ რაღაც 50 პროცენტში. ეს კი ძალზე ცოტაა უინტერბოტომისთვის. 50-პროცენტიანი სიზუსტით პროგნოზს რომელიც გნებავთ გულშემატკივარიც იკისრებს, თუმცა საამისოდ მას სრულიადაც არ ჭირდება ინგლისის ეროვნული ნაკრების სათავეში დგომა წლების მანძილზე.

თუ ვინმე გამოდგა ყველაზე გამჭრიახი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების წინ, ესაა მილანის „ინტერნაციონალეს" მწვრთნელი ე. ერერა. მან ჯერ კიდევ ივნისში განუცხადა კორესპონდენტებს, რომ ბრაზილიელთა შანსები მომავალ გათამაშებაში ერთობ პრობლემატურია და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძალიან შეცდება, თუ მარტოდმარტო პელეზე ააგებს თამაშს. „ეს ვარიანტი კრახით დამთავრდება",— თქვა ერერამ. შემდეგ „ინტერნაციონალეს" მწვრთნელი ამბობს: — „ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ გარინჩაზე. ამბობენ, რომ მან მთლიანად აღიდგინა ძველი სპორტული ფორმაო. მართალი გითხრათ, ეს სინამდვილედ არ მიმაჩნია".

ყველაფერი ეს გამართლდა. გარინჩა ინგლისში უსუსურად გამოიყურებოდა, ხოლო პელეზე დამყარებულმა იმედებმა კი ბრაზილიელებს ბევრი ვერაფერი მოუტანა, მით უმეტეს, რომ პელეს უმოწყალოდ ურტყამდნენ ფეხებში მისი მოწინააღმდეგეები.

მივყვეთ ე. ერერას შემდგომ მტკიცებას: „ვინ გაუწევს ბრაზილიელებს ყველაზე მძაფრ წინააღმდეგობას? მხოლოდდამხოლოდ ევროპის გუნდები და, პირველ ყოვლისა, გფრ-ისა და ინგლისის ნაკრები კოლექტივები".

ე. ერერა, როგორც სპეციალისტი, ნამდვილი მისანი აღმოჩნდა. მან მთავარი ამოცანები სწორად ამოხსნა და ისიც კი განსაზღვრა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში წმინდა ბრაზილიური სისტემა კი არ იბატონებს, არამედ განლაგება 4—3—3.

ა. წ. იანვარს თბილისში იმყოფებოდა შოტლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი „სელტიკი", რომლის მწვრთნელს ჯ. სტაინს ესაუბრა „ლელოს" კორესპონდენტი. სხვა კითხვებს შორის შოტლანდიელ სპეციალისტს მიმართეს ტრადიციული ანკეტით მომავალ ფინალურ თამაშებზე. ჯ. სტაინმა განაცხადა, რომ ერთი ფინალისტი უკვე იცის — ბრაზილია, მეორის დასახელებაზე კი თავი შეიკავა. ჯგუფებში გამარჯვება მწვრთნელმა [illegible] ინგლისს და საფრანგეთს, ესპანეთსა და არგენტინას (ან [illegible]), უნგრეთს, სსრ კავშირსა და იტალიას. 8 დასახელებიდან ჯ. სტაინმა დაუშვა 4 შეცდომა, ე. ი. ისევ ის 50 პროცენტი, რომელიც უ. უინტერბოტომსაც ჰქონდა. ჯ. სტაინი მართალი გამოდგა მხოლოდ იმაში, რომ საერთო დაბალი შეფასება მისცა იტალიის ნაკრებს.

დაბოლოს, საინტერესო საერთაშორისო ანკეტა მოაწყო გაზეთ „ტრუდის" რედაქციამ, სადაც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, გდრ-ის, რუმინეთის, იუგოსლავიის რადიოსა და ტელევიზიის, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა.

ჯგუფებში გამარჯვებულნი ვერ გამოიცნო ვერავინ. აქ შეცდომას ადგილი ჰქონდა 3-4 დასახელებაში. ვერც ნახევარფინალის 4 მონაწილე განსაზღვრა ვერავინ. პროგნოზისა და სინამდვილის შედარებისას სრული ქაოსი სუფევს.

მხოლოდ „სპორტ ზა რუბეჟომის" რედაქციამ და ბუდაპეშტის „ნეპსავას" სპორტული განყოფილების რედაქტორმა ვ. კალმანმა გამოიცნეს პირველი 2 ადგილი: ინგლისი და გფრ.

ეს იყო და ეს. იმ ზღვა პროგნოზებში, რომელშიც ცურავდა გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, არც ერთი არ გამართლდა. წინასწარმეტყველების „სნაიპერთა" შეჯიბრებაში სიზუსტე საშუალოდ არ აცდენია 50 პროცენტს, თუმცა მკითხავთა" შორის იყვნენ ყველანი — დაწყებული უმეცარი ასტროლოგიდან, გათავებული კომპეტენტური მწვრთნელებით და სპეციალისტებით.

მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ პროგნოზი ფეხბურთში ესაა საპნის ბუშტი, რომელიც სკდება ბურთზე ფეხის პირველივე დარტყმისთანავე.

ბ. ქორქია.

# „ოქროს ქალღმერთის" ობიექტურობა

### ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შედეგების გამო

ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა „ოქროს ქალღმერთი" თავისი ქვეყნის ნაკრების კაპიტანს ბობი მურს გადასცა. ამ საზეიმო აქტით დამთავრდა მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც 70 ეროვნული ნაკრები მონაწილეობდა და რომელიც მთელი 2 წლის განმავლობაში გახლდათ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეციალისტთა და სპორტის მოყვარულთა ყურადღების უპირველესი საგანი.

ფეხბურთის მამამთავრებმა — ინგლისელებმა პირველად მოიპოვეს ჟიულ რიმეს თასი. ამ უმაღლესი წარმატებით მათ, როგორც იქნა, დაამტკიცეს თავიანთი ტრადიციული საფეხბურთო დიდება და მსოფლიოს უჩვენეს, რომ ტყუილად როდი ეტრფიალებიან ამ თამაშს საუკუნეზე მეტია.

ინგლისის ნაკრების გამარჯვებას არ შეიძლება შემთხვევითი უწოდო, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს, როცა საერთო ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ დამცხრალა, ა. რამსეი და ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები იძულებული არიან მოისმინონ მათი მისამართით ნათქვამი ბევრი მწარე სიტყვა, რაც, ცოტა არ იყოს, უნელებს ინგლისელებს გამარჯვების სიხარულს. არგენტინის, ურუგვაის, ჩილის ფეხბურთის ორგანიზაციები მსოფლიოს ექს-ჩემპიონების — ბრაზილიელთა თითქოს მოკრძალებული, მაგრამ სრული მხარდაჭერით, ყოველგვარ ცოდვას მიაწერენ ფიფა-ს, ბრალს სდებენ მას არაობიექტურობაში, მიკერძოებაში და მოითხოვენ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანოს რეორგანიზაციას. ლათინური ამერიკის ბევრი გაზეთი ინგლისელთა გამარჯვებას აფასებს როგორც საკუთარ მაყურებელთა თვალწინ მსაჯების მიერ წინასწარ ჩაფიქრებული აქტის გათამაშებას.

„უემბლიზე" ფინალურ მატჩში დამარცხებით გულდაწყვეტილი დასავლეთგერმანელი მიმომხილველები იზიარებენ ინგლისელთა მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს. დპა-ს კორესპონდენტი, მაგალითად, ასე აფასებს ლონდონის ტურნირს:

— უკვე ურუგვაისთან პირველი მატჩის შემდეგ ყველა სპეციალისტი, გულშემატკივარი და ჟურნალისტი, ვინც პირველად ნახა ინგლისის ნაკრები, გაოცდა: როგორ შეიძლება გუნდი, რომელმაც ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანა ურუგვაელთა კარში, ასე გადაჭრით აცხადებდეს პრეტენზიას ჟიულ რიმეს თასზე? რატომ ლაპარაკობს ინგლისელთა მწვრთნელი ა. რამსეი ჩემპიონატის ოქროს მედლებზე თითქოს ეს ბავშვის სათამაშო იყოს, რომელიც მშობლებმა უკვე იყიდეს?

— ვაჯამებთ რა ჩემპიონატის შედეგებს, — განაგრძობს მიმომხილველი, — შეიძლება სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ „ოქროს ქალღმერთი" მაშინ კი არ მოიპარეს, როცა ლონდონის საგამოფენო დარბაზში ქურდი შევიდა და ნიკე ჯიბეში ჩაიდო, არამედ ჩემპიონატის დროს.

კიდევ უფრო გარკვევით გამოთქვა აზრი ფინალური მატჩის შემდეგ გფრ-ის გუნდის მწვრთნელმა ჰ. შიონმა:

— ჩვენ მთელი ძალით ვიბრძოდით თასისთვის და ამიტომ განსაკუთრებით გვტკივა გული, რომ მიკერძოებამ ხელი შეუშალა უძლიერესის გამოვლენას ლონდონის ჩემპიონატში.

დამარცხებულისთვის ძნელია ობიექტური იყოს. ამიტომ არ ღირს სერიოზულად მიიღო მათი ნათქვამი, ვინც ინგლისელთა გამარჯვებას ეჭვის თვალით უყურებს. რასაკვირველია, მსოფლიოს VIII ჩემპიონატი დაზღვეული არ იყო შეცდომებისგან, უმთავრესად, მსაჯების მხრივ. ინგლის—არგენტინის, გფრ—ურუგვაის, სსრ კავშირ—გფრ-ის მატჩები, რომელთაც თითქოს უნდა გადაეწყვიტათ ქალღმერთის ბედი, სამწუხაროდ, უხეში თამაშითა და მსაჯთა საკამათო გადაწყვეტილებებით გამოირჩეოდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დამნაშავენი პირველ ყოვლისა თვით ფეხბურთელები იყვნენ. ასე რომ, ახლა უაზრობა იქნება დაემდურო „ოქროს ქალღმერთს" და გააკრიტიკო გამარჯვებულები, რახან მეტოქეები დაამარცხეს და ამით უსიამოვნება მიაყენეს მათ.

ინგლისის ნაკრებმა პორტუგალიასა და, განსაკუთრებით, გფრ-ის გუნდებთან მატჩებში უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა. ეს შეხვედრები ღირს იმად, რომ დავივიწყოთ მასპინძელთა სუსტი სტარტი ურუგვაის გუნდთან და ტურნირის ყველა ის უწესრიგობა, რომლის გარეშეც საერთოდ ძნელია ასეთი დიდი ასპარეზობის ჩატარება. ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებში ინგლისელები მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე. მათ პორტუგალიელებს სავსებით მოუსპეს გამარჯვების იმედი, გფრ-ის ნაკრებთან კი დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ გაიმარჯვონ მაშინაც, როცა ფორტუნა აშკარად მეტოქეებს უღიმის. ა. რამსეის გუნდი ბრწყინავდა ჩინებული თამაშით დაცვაში, მწვავე და ჭკვიანური მოქმედებით მინდვრის ცენტრში, მოულოდნელი და მრისხანე შეტევებით. ინგლისელ ფეხბურთელთა მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობა განმტკიცებული იყო შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით და ათლეტიზმით.

ჩემპიონატის მეორე პრიზიორს — გფრ-ის ნაკრებს, მისი თავდამსხმელების დიდი ძალისა და აგრესიულობის მიუხედავად, ფინალურ მატჩში აკლდა ტაქტიკური მრავალფეროვნება, დაცვითი ზღუდეების გადალახვის უნარი და გამძლეობა (განსაკუთრებით ბოლო 30 წუთის განმავლობაში), თუმცა ბრძოლა მწვავე და ცალკეულ ეპიზოდებში დრამატულიც იყო. ჩემპიონატის მასპინძელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა

ინგლისის ნაკრებმა აჩვენა თამაში, რომელიც ბევრად განსხვავდება ბრაზილიელთა თამაშის მანერისაგან. განსხვავდება და ჯობს კიდეც. ინგლისელებმა უარი თქვეს ყველაფერზე, რასაც გარეგნული ეფექტი ეწოდება. ისინი მოქმედებდნენ ძალზე რაციონალურად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბურთის დამუშავების სისწრაფეს, ზუსტ გადაცემებს, მოთამაშეთა მოულოდნელ გადაადგილებას. ეს იყო ფეხბურთი, როცა მაყურებელი ინდივიდუალურ ოსტატობას აღიქვამდა არა როგორც რაღაც დამოუკიდებელსა და თვითმყოფადს, არამედ როგორც გუნდის ოსტატობის ნაწილს, დაფუძნებულს დახვეწილ ურთიერთგაგებასა და საფეხბურთო მექანიზმის ყოველმხრივ შემოწმებაზე.

მსოფლიოს VIII ჩემპიონატში მოწინავე პოზიციები დაიკავეს გუნდებმა, რომლებიც აშკარად ამჯობინებენ კოლექტიურ, სწრაფ და კომბინაციურ ფეხბურთს. ასეთი თამაში ახასიათებთ არა მარტო ინგლისელებს, არამედ გფრ-ის, სსრ კავშირისა და უფრო მეტად პორტუგალიის გუნდებს. მაგრამ ინგლისის ნაკრებმა ყველაზე უკეთ აითვისა იგი და გაიმარჯვა კიდეც.



სურათზე: სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრის მომენტი.



თბილისის ზღვაზე. ფოტო ა. სააკოვისა.

## ფეხბურთი

# სსრ კავშირის პირველობა

### „ა" კლასი I ჯგუფი

**მოსკოვი,** 4 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა — „არარატი" (ერევანი).

არმიელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

გაიმართა მორიგი შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

თბილისის „ლოკომოტივი" რიგაში შეხვდა ადგილობრივ „დაუგავას". თბილისელებმა ძალზე ცუდად ითამაშეს და სასტიკი მარცხი განიცადეს — 1:6.

ბათუმის დინამოელებს თავიანთი უკანასკნელი შეხვედრა ჰქონდათ ივანოვოში ადგილობრივ „ტექსტილშჩიკთან". ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „თერგი" (გროზნო) 0:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:0, „დინამო" (ტალინი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:2, „რუბინი" (ყაზანი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „როსტსელმაში" 2:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „სპარტაკი" (გომელი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 აგვისტოსათვის

### „ა" კლასი II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 20 | 13 | 4 | 3 | 36—16 | 30 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 19 | 8 | 8 | 3 | 25—15 | 24 |
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 20 | 8 | 8 | 4 | 22—12 | 24 |
| „დაუგავა" (რიგა) | 19 | 9 | 5 | 5 | 34—19 | 23 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 20 | 9 | 4 | 7 | 25—23 | 22 |
| „თერგი" (გროზნო) | 20 | 7 | 8 | 5 | 16—18 | 22 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 19 | 6 | 9 | 4 | 17—11 | 21 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 19 | 8 | 5 | 6 | 19—16 | 21 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 20 | 6 | 8 | 6 | 24—26 | 20 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 20 | 7 | 5 | 8 | 14—18 | 19 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 20 | 5 | 8 | 7 | 15—20 | 18 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 20 | 5 | 8 | 7 | 11—17 | 18 |
| „დინამო" (ბათუმი) | 19 | 6 | 4 | 9 | 19—25 | 16 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 20 | 4 | 8 | 8 | 18—27 | 16 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 19 | 4 | 8 | 7 | 9—18 | 16 |
| „დინამო" (ტალინი) | 20 | 4 | 5 | 11 | 15—22 | 13 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 20 | 2 | 7 | 11 | 16—32 | 11 |

### „ბ" კლასი IV ზონა

3 აგვისტო მორიგი ტურის დღე იყო ფეხბურთელთა გუნდებისთვის, რომლებიც საკავშირო პირველობაზე მონაწილეობენ „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონაში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

#### გურჯაანიდან...

ადგილობრივი „ალაზნის" მოწინააღმდეგე ამ დღეს იყო კაფანის „ლერნაგორცი". ალაზნელებმა კვლავ აჩვენეს კოლექტიური, შეთანხმებული და მონდომებული თამაში. მათ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 2:1.

ნ. კიკნაძე.

#### ზუგდიდიდან...

ზუგდიდელებმა თავიანთ სტადიონზე მიიღეს ზონის ლიდერთა ჯგუფში მყოფი პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელი". დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ბურთი თითქმის არ მოსცილებია მინდვრის ცენტრს. ორივე გუნდი ცდილობდა არ გაემწვავებინა მდგომარეობა და თამაში მხოლოდ ტაიმის მეორე ნახევარში გამოცოცხლდა. ჯერ სტუმრებმა აიღეს ხელთ ინიციატივა და მათი ერთ-ერთი იერიშის შემდეგ ნესტერევი პირისპირ დარჩა მოწინააღმდეგე მეკარესთან. ზუგდიდელთა კარი მხოლოდ ძელმა გადაარჩინა გოლს. ამის შემდეგ რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს „ენგურის" თავდამსხმელებმა. ჯოპუამ კარგი გადაცემით გაიყვანა ღია პოზიციაში აბრალავა, მაგრამ ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა აიღო მეკარე დანილოვმა.

მწვავე მომენტები საკმაოდ ხშირად იქმნებოდა ორივე კართან მეორე ტაიმში. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის შესაძლებლობანი, თამაშის ტემპმა კვლავ მოიკლო და საბოლოოდ ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას — 0:0

გ. ალშიბაია.

#### ტყიბულიდან...

ძალზე საინტერესო გამოდგა მატჩი ტყიბულის „მეშახტესა" და კიროვაკანის „ლორის" შორის. კიროვაკანელი ფეხბურთელები წელს წარმატებით მონაწილეობენ ზონის გათამაშებაში და კარგი შედეგებიც აქვთ.

„მეშახტემ" საუკეთესოდ ჩაატარა ეს მატჩი და ანგარიშით 2:0 დაამარცხა მეტოქე.

ო. ჯანელიძე.

#### გორიდან...

გორის „დილისა" და ოქტემბერიანის „სევანის" შეხვედრა საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო: სტუმრებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც გოლით დაამთავრა მელქონიანმა — 1:0.

გორელებმა მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს და მე-11 წუთზე ბურჯანაძემ აღადგინა წონასწორობა — 1:1. მასპინძლები კარგახანს უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ თავდამსხმელები ერთობ არაზუსტად ასრულებდნენ დასკვნით დარტყმებს.

დაიწყო მეორე ტაიმი და გორელები თითქმის არ მოსცილებიან „სევანის" კარს. კარგად ითამაშა სტუმრების მეკარე გრიგორიანმა, რომელსაც რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ 70-ე წუთზე რევაზიშვილმა მაინც აიძულა იგი გამოეტანა ბურთი კარიდან — 2:1. მცირე ხანს შემდეგ „დილის" კართან შეიქმნა მეტად სახიფათო მომენტი და აქ თავი გამოიჩინა მეკარე მერაბიშვილმა, რომელმაც ძნელი ბურთი აიღო ბლეიანისგან.

გორელმა ფეხბურთელებმა შეინარჩუნეს ეს მეტად საჭირო გამარჯვება.

გ. გოზალიშვილი.

#### რუსთავიდან...

აქ თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი" და ერევნის „არაქსი". რუსთაველმა ფეხბურთელებმა შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება — 2:1.

* * *

სოხუმის დინამოელები ქ. მახაჩ-ყალაში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებს და წააგეს მატჩი ანგარიშით 0:3, ხოლო ფოთის „კოლხიდამ" დერბენტში გამარჯვებას მიაღწია „უროჟაისთან" — 4:0.

# ფინ ნახევარფინალებია

სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატების ფინალები ამავე დროს მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირებია. ამიტომ საგრძნობლად იზრდება ნახევარფინალების მნიშვნელობა. ამ ტურნირებში საქართველოს წარგზავნილებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ქალთა ჩემპიონატის ფინალში მიწვეული არიან ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კოზლოვსკაია, ტ. ზატულოვსკაია, მ. რანიკუ, ე. ბიკოვა და ა. მოროზოვა. დანარჩენმა მოჭადრაკეებმა ფინალში მონაწილეობის უფლება ნახევარფინალებში უნდა მოიპოვონ.

ქალებისთვის ნახევარფინალები გაიმართება სევასტოპოლში, კიევში, პეტროზავოდსკსა და ნოვოსიბირსკში. თვითეული ნახევარფინალიდან მხოლოდ 3 მოჭადრაკე დაიშვება ფინალში.

საქართველოს წარგზავნილები ითამაშებენ: კიევში — ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია და ც. კახაბრიშვილი (მათი მეტოქეები იქნებიან: ოსტატები ვოიცეკი, იაკირი, ო. რუბცოვა, კოლოტი, კაზმინა, პირველთანრიგოსნები ტიტარენკო, სპივაკი, გორდონი, გერშუნსკაია, კურე, გორბულიოვა), პეტროზავოდსკში — ნ. ხუბულური და ც. კობაიძე (მათ ბრძოლა მოუწევთ ოსტატების ზვორიკინას, სკეგინას, კაცკოვას, იდელჩიკის, ტიხომიროვას, გურფინკელის, პირველთანრიგოსნების არჩაკოვას, მიხაილოვას, შადურას, ვართანიანის, გუსევასა და მიკფელდტის წინააღმდეგ) და ნოვოსიბირსკში — ე. კაკაბაძე და ლ. კოროშინაძე (ისინი მეტოქეობას გაუწევენ ოსტატებს კონოპლიოვას, ვოლპერტს, კისლოვას, ბიშარდს, მუსლიმოვას, როოტარეს, პირველთანრიგოსნებს პოსტნიკოვას, ერგლეს, მკრტჩიანს, დოქტორს, გონოლდმანსა და ვენდროვას).

ვაჟთა ჩემპიონატის, რომლის ფინალი თბილისში დაიწყება 25 დეკემბერს, ნახევარფინალები ჩატარდება ვილნიუსში, ირკუტსკში, კრასნოდარსა და მოსკოვში. ფინალში დაიშვება მხოლოდ სამ-სამი გამარჯვებული.

ნახევარფინალებში ჩვენგან ითამაშებენ რ. ჯინჯიხაშვილი, ბ. გურგენიძე და ა. ბუსლაევი.

რ. ჯინჯიხაშვილი და ა. ბუსლაევი გამოვლენ კრასნოდარში, სადაც მოუწევთ თამაში დიდოსტატების სუეტინის, ვასიუკოვის, ოსტატების გიპსლისის, გუფელდის, ლეინის, ბორისენკოს, ბუხმანის, იგნატიევის, კაპენგუტის, კლოვანის, კოტკოვის, კატალიმოვის, ტერენტიევის, ეტრუკის და ოსტატობის კანდიდატების მაცისა და აკომენის წინააღმდეგ.

ბ. გურგენიძე ჩაებმება ვილნიუსის ნახევარფინალში, სადაც მისი მეტოქენი იქნებიან: დიდოსტატი ავერბახი, ოსტატები ნეი, ბანიკი, ბაგიროვი, ბიხოვსკი, მიკენასი, მნაცაკანიანი, ზახაროვი, რუბანი, რუსაკოვი, ხავსკი, იურკოვი, დოროშკევიჩი, კერნერი, მასლოვი, გოიხმანი და ბალაშოვი.

ფინალში პერსონალურად მიწვეულია 12 დიდოსტატი: ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, მ. ტალი, მ. ბოტვინიკი, ე. გელერი, პ. კერესი, ვ. სმისლოვი, სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტაიმანოვი, ვ. კორჩნოი და დ. ბრონშტეინი.

ნახევარფინალური ტურნირები აგვისტოში დაიწყება.

### ჭადრაკი

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისი

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. 6 აგვისტო. სსრ კავშირის თასი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი). დასაწყისი 20 ს.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრები. 8 აგვისტო. „დინამო" (თბილისი) — თურქეთი (ნაკრები). 9 აგვისტო. საქართველო (ნაკრები) — თურქეთი (ნაკრები). დასაწყისი 20 ს.

### ყურადღება!

სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ „განთიადის" საცურაო აუზმა (ორთაჭალა) განაახლა მუშაობა.

აუზის დირექცია აცნობებს დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პირებს, რომ დაიწყო მიღება ცურვის შემსწავლელ სპორტულ და საერთო გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ მისამართით: 26 კომისრის რაიონი, 300 არაგველის აღმართი, № 1, ტელეფონები: 4-53-81, 4-53-82.

● **მოსკოვი,** 4 აგვისტო. დინამოელ მძლეოსანთა შეჯიბრებისას ლ. მიკიტენკომ (ყაზახეთი) 10 კმ 28.41,4 წუთში გაირბინა. ეს მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგია სსრ კავშირში.

● **პეტროზავოდსკი,** 4 აგვისტო. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ბოლო ტურში სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ტ. ზატულოვსკაიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ რ. სუხასთან, დააგროვა 8,5 ქულა 11 შესაძლებლიდან და პირველ ადგილზე გავიდა. დანარჩენი ადგილების ბედი გაირკვევა გადადებული პარტიების დამთავრებისას.

● **ბერლინი,** 4 აგვისტო. ნიჩბოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც გდრ-ში გაიმართება 19-21 აგვისტოს (ბაიდარებსა და კანოეში), 25 ქვეყნის სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას. ერთმანეთს პირველობას შეეცილება ბელგიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, იაპონიის, იუგოსლავიის, მექსიკის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, ავსტრიის, პოლონეთის, რუმინეთის, შვეციის, შვეიცარიის, ესპანეთის, უნგრეთის, სსრ კავშირის, აშშ-ის, ავსტრალიის, გდრ-ისა და გფრ-ის 304 ნავი.

● **სტოკჰოლმი,** 4 აგვისტო. აქ მიმდინარეობს შვეციისა და ლატვიის მძლეოსან ვაჟთა მატჩი. პირველი დღის შემდეგ მასპინძლები იგებენ — 62:44. ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი: სსრ კავშირის რეკორდსმენმა ი. ლუსისმა შუბი 83 მეტრზე ტყორცნა. 5 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა გ. ხლისტოვმა — 13.56,8. ერთნაირი სიმაღლე (470 სმ) დაძლიეს შვეციელმა კ. ბურლინმა და ნ. კეიდანმა, მაგრამ ცდების მიხედვით პირველობა საბჭოთა სპორტსმენს — კეიდანს მიენიჭა.

● **დუბლინი,** 4 აგვისტო. 880 იარდზე რბენაში ევროპის რეკორდი დაამყარა ირლანდიელმა ნ. კეროლმა. მისი დროა 1.47,4, რაც 0,1 წამით უმჯობესია ამავე სპორტსმენის მიერ 1963 წელს დამყარებულ რეკორდზე.

● **მეხიკო,** 4 აგვისტო. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) პრეზიდენტმა — ავსტრალიელმა ვ. ფილიპსმა განაცხადა, რომ მეხიკოს ოლიმპიადაზე ყველა ოლიმპიური რეკორდი დაეცემა, გარდა 1500 მეტრზე ცურვისა. ეს განცხადება მან მას შემდეგ გააკეთა, რაც დაათვალიერა ოლიმპიადის დედაქალაქის საწყლოსნო ბაზები. ფინა-ს პრეზიდენტმა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს ურჩია აეგოს დახურული აუზი, რათა შეჯიბრებები გაიმართოს დილით, დღისით და საღამოთი.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 06040